




№ 10 კვირული ჟურნალი 1911 წ. 13 თებერ. № 10

შ ი ნ ა ლ ს ი :

- | | |
|-----------------------------|-------------------|
| 1) მოწინავე | |
| 2) საშინელი დასკვნა | ეკ. გაბაშვილისა. |
| 3) ლიტერატურული შენიშვნები. | იპ. ვართაგავა. |
| 4) სად? (ჭეიხიძე) | ა. გაფრინდაშვილი. |
| 5) შაური | დ. მესხი. |
| 6) შინაურობაში | ბ. ა.—ნი |
| 7) იხარხარე ავო სულო | გ. ფოცხოველი. |
| 8) ვითომ რეცეზია | ას. პ.—ფია. |

დამატება: 1) განწმენდის სასახლედრ. პ. მოქ. შოთა დადიანი.
 2) სახლში-მეტერლინკისა თარგ. კონსტან ანდრონის მიერ.
 3) ბედი გადასწყდა ერთ მოქმედ. სურათი ი. მჭედლიშვილის.





ცხოვრება და ხელოვნება



რედაქციამ მიმართა ყველა ქართველ მწერლებს, მეცნიერთა და მხატვარ ხელოვანთათვის. — განუთავადებათ რ ე ჯ ა ქ ტ ა რ ე ბ ა .

პუბლიცისტიკა ფ. კაგანიძე.

სიტყვა-კაზმული მწერლობა შ. არაგვისპირელი.

(ბელეტრისტიკა).

სიტყვა-წყობილი მწერლობა კ. შაყაშვილი (პ. ე. ზ. ი. ა.).

პედაგოგიკა ალ. შიდავაძე.

მხატვრობა და ქანდაკება ი. ნიკოლაძე.

ისტორია იუს. აბულაძე.

მედიცინა ვ. ღამბაშიძე.

მუსიკა მ. ფაღვანიძე.

დრამა ვ. შაღვაშვილი.

სასცენო ხელოვნება ვ. შესხიშვილი.

კრიტიკა და ბიბლიოგრაფ. ი. ვარაგუაძე.

ბუნების მეტყველება ს. აბულაძე.

მიმოხილვა ვ. ბუნია.

რედაქტორ-გამომცემელი ნ. ლორთქიფანიძე.

დამატებაში იბეჭდება „როსტომიანი“ (ფარდუსის შანჭყე) და დრამები.

ხელის მოწერა მიიღება ქართული თეატრის კასაში, რედაქციაში და წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებაში.

განცხადების ფასი ჟურნალის კაბადონზედ 1 გვერდზე სტრიქონი 20 კ. უკანასკნელზე 15 კ. ტექსტის წინ 15 კ. ტექსტის შემდეგ 10 კ. რუსეთიდან და საზღვარ-გარეთიდან განცხადებები ორ ფასად.

Адресъ: Тифлисъ, Дворянская, д. дворянства, рядом съ театромъ. Редакция „Цховреба да Хеловнеба“. Тел. № 862. რედაქცია ღიაა 10—2 ს.

„სახალხო გაზეთი“

წელიწადი მეორე

ყოველდღიური საზოგადოებრივი და სალიტერატურო
ყოველდღიურ გამოცემის გარდა გაზეთს ექმნება კვირეული
ს უ რ ა თ ე ბ ი ა ნ ი დ ა მ ა ტ ე ბ ა

დამატება გამოვა კვირაობით

გაზეთის ფასი დამატებისა: წლით, როგორც ქადაქშია, ისე ქადაქ გარეთ ღირს 8 მან.

50 კაპ., ნახევარი წლით — 4 მან. 80 კაპ., ერთი თვით — 80 კაპ.

ცალკე ნომერი ყველგან ერთი შაური, დამატებიათ ნომერი (კვირისა) 7 კაპეიკი.

ადრესის გამოსაცემელი ფასი 40 კაპ.

განაწილება ფასისა: მოწერის დროს 3 მან., 1 მარტისთვის 3 მან., 1 მაისისთვის 2 მან. და 1 ივლისისათვის 1 მან. 50 კ.

რედაქცია ღიაა 9—5 საათ.

Тифлисъ, редакция „Сахалхо газети“.



№ 10 კვირეული ჟურნალი 1911 წ. 13 თებერ. № 10

აგენტურა ძვირი ჯდება, გთხოვთ ჟურნალი წლიურათ (5 მან. შეიძლება ათ-ათ შაურობით შემოტანა) გამოიწეროთ. თუ ჟურნალი რაიმე მიზეზის გამო დაიკეტა, ხვედრი შული ხელის მომწერთ უსათუოდ უკანვე დაუბრუნდებათ. რედაქცია აცხადებს, რომ დღეიდან იგ არ ღაიხსნის უმარკო წერილებს და არ წაიკითხავს ხელ მოუწერელ წერილებს.

თბილისი, 13 თებერვალი.

დასავლეთ საქართველოს დროზედ უშველეთ!

ამას წინად რუსულ გაზეთში დაიბეჭდა ალექსანდრე სარაჯი-შვილის მეტად საგულისხმიერო წერილი, რომელშიაც პატივცემული ავტორი სამართლიანად უსაყვედურებს ჩვენს საზოგადოებას და თან აფრთხილებს მას, თუ რა განსაცდელი მოვლის დასავლეთ საქართველოს წრევანდელი სუსხიანი ზამთარისა და დიდი თოვლის გამო.

მართლაც და თუ, ქართველობამ დროზე ყური არ გამოიბერტყა და დაუყონებლივ რამე ღონე არ იღონა კარზე მომდგარი უბედურების გამო, ჩვენს ქვეყანას დიდი საფრთხე და განსაცდელი მოვლის.

დღე ისე არ გავა, რომ ადგილობრივ გაზეთებში არ დაიბეჭდოს ერთიმეორეზე უფრო შემადრწუნებელი და თავზარ დამცემი ამბები ხალხის გაჭირვებასა და უკიდურესს მდგომარეობაზე.

ხალხი და საქონელი სიცივისაგან ძლივს სულს ღაფავს, მისვლა-მოსვლა შეკრულია, სანოვავე ძალზე გაძვირდა, მთელი მხარე დამშეულია, ავადმყოფობა და სხვა სენი მძვინვარებს, ხოლო გაზაფხულზე აუცილებელია საშინელი წყალდიდობა, რომელიც აუწერელის უბედურებით ემუქრება იმერეთს.

თვით მთავრობა, რომელიც მაინც და მაინც არას დროს არ ყოფილა ჩვენი გულშემატკივარი და მოჭირისუფლე, უკვე შეინძრა საღათას ძილისაგან და მოსალოდ-

ნელ უბედურებას შიშით და კრძალვით უყურებს.

რას შვრება ამავე დროს ჩვენი საზოგადოება, ჩვენი მეთაურნი და საქმის საყვარში მდგომნი რჩეული პირები? თითქმის არაფერს. მათს მკოდნარეობას არაფერი აწუხებს, მათს გულსა და სინიდისს არაფერი არ აშფოთებს...

პირიქით ქალაქები, ბანკები და სხვა და სხვა დაწესებულებანი და მრავალი კერძო პარები გაფაციცებით ფულს აგროვებენ სემირჩის მხარეს მიწის ძვრისაგან დაზარალებულთა სასარგებლოდ...

კაცთ-მოყვარეობა, შეწყალება და მოყვასთა შეწეობა დიახაც კულტურული და ქრისტიანული მოვლენაა მხარის მშენებნის დაეწყება, მათი ქირ-ვარამზე ყურის მიყრუება შეუწყნარებელია და უფრო მეტიც: იგი გადაგვარების ნიშან-წყალია.

ტყუილად კი არ ამბობს ჩვენებური ხალხური სიბრძნე: „გარედ ტაბლას რახელი აქვს, შინ რომ ბაღლი გიტიროდეს“.

ბატონებო, დროისით გამოერკვიეთ და უშველეთ დასავლეთ საქართველოს!

ს ა შ ი ნ ე ლ ი დ ა ს კ ვ ნ ა

ეკ. გაბაშვილისა.

(ა... ხსოვნა)

პოეტი იყო, პოეტი! ზე კაცი! მაღალი სულით, მგრძნობიარე გულით, ნათელი ჭკუით.

ბუნებამ მისცა იმას სუყველაფერი, რომ ქვეყანა შეემკო და ქვეყნად მცხოვრებთ კაცთა შორის და უფლის მიერ სიმნიგეება.

ჯერ ისევ ნორჩმა, გამოუცდელმა, სუსტმა ქმნილებამ სიმღერა იწყო, სიმღერა იგი შეეხებოდა გარშემო გაშლილ ბუნებას და მშვენიერი იყო ვით თვით ბუნება აყვავებული, ტურფა ღიმილი, დედის აღერსი, ფრინველთ უყვრუნტური განთიადისა.

ბულბულის შტვენა, სიოს ნარნარი რხევა—ბიბინი, ნაკადის ნანა, ია-ვარდთ ფშვენა სურნელოვანი, გამოიწვევდნენ მას სიმთა ჟღერას სამოთხის მაგვარს.

ქაბუკი იყო ოცნებით საესე და თვალთ უხილავ გრძნობათა ზღვაში დანავარდობდა, ჰჳრენდა, გალობდა და ღმერთს კაცთ გამჩენს ქებირა-ქების მსხვერპლსა სწირავდა.

დრომ გაიარა. ჟამნი მეფობდნენ. დავაყვაცებულს მგოსანს მომღერალს მაღლა ფრენადგან ძირს მოიწვევდნენ შრომა,

ვაგლახი, კაცთა შორს ბრძოლის გამოძაფრი ტანჯვანი, უსამართლობის ცრემლის ნიაღვრის შეუშრობელი დენანი.

ის ძირს დეეშვა. კარგად გეეცნო ცხოვრებას ქარ-ბუქთ, მათ ნგრევა-რყევას, ახვირთებულთა მდინარე რისხვას, თვალთ წარმოუდგა სეტყვის ზვინებით ძირს დაწოლილი და გაქელილი ნაქარგი მდელი, მშვენიერების განადგურების სრული სურათი.

მან იგრძნო სუყველაფერი გარდამეტებით, ეტკინა გული მგრძნობიარე, სულსა მის ნათელს სევდის ზეწარი გადაეფარა. ფიქრმა მოიცვა აღშფოთებული გონება მღსი.

ჩანგიც განრისხდა. ხმა აღიჰაღლა. ტკილი ანგები, ნაზი ლულუნი ქექა-ქუხილის ხმაზედ შესცვალა. დაჰკრა და დაჰკრა წყევლა კრულვის, სევდის ტიალის მწარე აკორდი. იგი აღშფოთდა და გულის ბოღმა ცეცხლებრივ მკაცრად წამოიკვესა და ასწავლა ყველას. უდიერებას, უსამართლობას ანდერძს უგებდა და ავი კაცის გულის სიღრმეში, აქ დაბუდბულს ბოროტსა სპობდა, სინანულისას გრძნობას იწვევდა,

ხანში შევიდა. ის დავაჟაკდა. შუბლი დევქლო სევდათა შხაპის ნავალით, სული ჩაღრმავდა, გული შეირყა ბევრის ნაგრძნობით, ჭკუა გაბრწყინდა და სიმთაჟღერაც გაუძლიერდა. სმენად გარდიქცა მთელი გარეშე. ტაში დაუკრეს. ეს დაათვას, დაფნის გვირგვინით თავი შეუშკეს.

მაგრამ მგოსანსა მაინც სწყუროდა. ის დევძებდა ჯერ გაუზომელს, ჯერ არ ნახანს, არა ნაგრძნობის ნარნარ ადვალს. ის ეძიებდა, ეძიებდა ძვირფას საუნჯეს სანატრელს, ტკბილისა სამოთხეს ნაზად ტურფა რამ ყვავილს და ვერ ჰპოვებდა. იტანჯებოდა... სურვილმა მცნების უცნობის მადლით მთლად დაიმონა... ჩანგი გადაავლო... თავი ჩაჰკიდა... ძალა წვერთა ლექქათა მხილების, ანგების მწყობის... ხმა ტკბალი შესწყდა...

რიყრაჟი იყო. მზე აშუქებდა მხოლოდ მწვერვალებს ბუნებრაზ მთების. ნაკადი ოღნავ მოღუღუნებდა და თვისას წინწკალ-ნამებით ვარდ-ზამბახს ის აღმასებით უზვად აფრქვევდა. სიო დილისა წინა მორბედი განთიადისა, გამთხიზლებელი ადამიანის, ოღნავ არხევედა ხეზედ მიყრდომილ პოეტის თავზედ შავს კულულებსა. თვითპოეტი კი არაფერს გძნობდა. ის მთლად შთაენთქა შავ ფიქრთა დენას, უძლური ექმნა წყურვალ საშინელს, მგზავრს სიკვდილისას...

... უცებ მოასმა მძლავრი აკორდი... მას კიდევ მოჰყვა მძლავრი აკორდი და განიბნია წმინდა ჰაერში. შემდეგ მინაზდა, სული განაბა და იქცა იგი ტკბილ მელოდიათ. მუსიკამ, დილამ ურთიერთ მისცეს, შეახმატკბილეს ანგები და უკვდავების წყარო აღინეს, მით მორწყეს არე გარინდებულის...

მუსიკას მოჰყვა მღერა ქალისა... ნარნარი იყო ისიც ვით დილა... ქალმა დაიწყა ნელის ღიღინით და თან და თან უმაღლეს სიმშვენიერემდინ ასწია ანგი, ჩაარაკრაკა და ხელ ახლად დაბლა დასწია. პიანისიმო ჩურჩულად იქცა... და განქრა...

ხეს მიყრდომილი მკვდრისა მგზავსი პო-

ეტი, მთლად სმენად იქცა. გული ათრთოლდა, სული აღენთო და ის წყურველი და ის ძიება, რომელიც იმის განწყობა ლად გულს უწყურულებდა, თითქოს მოისპო... ავესო ნატვრის ფიალი და განუსაზღვრელი ბედნიერება იგრძნო. თვალთაგან ცრემლი წარმოსქდა და უფალს მადლი მიუძღვნა.

სიმღერა შესწყდა. დუმილი მეფობს კვლავ არე-მარეს. მხოლოდ მგოსანი გაუხიზლებული, ღმობიერებით აღსავსე ხელთ იპყრობს ჩანგსა ლტოლვილსა და ადამიანის თვისებას—ღმერთად მის მქცევის საიდუმლოებას—სიყვარულს მუხლ მოდრეკილმა, თვალთ აპყრობილმა გიმნი მიუძღვნა.

და გიმნი იგი სიყვარულისა უტკბესი იყო ყველა იმ ხმებზედ, რომელიც კი იმის ჩანგს გამოეღო ოდესმე და ხალხთა სმენა დაეტკბო.

გიმნი ის ჰგავდა რაკრაკს წყაროსას, დილის რიყრაჟსა, მნათობ ვარსკვლავსა განთიადისას და პირველ ანბორს წოფელის სატრფოსას. და ესე კონა სულთ-უქმნელისა სასოებისა მან ვადასტყორცნა იმისა სადგურსა, ვინც აღძრა კვლავად მაში ძალა ჩანგის ძვერისა.

ასე გაგრძელდა მთელი მაისი. უხილავი მომღერალი ყოველ დღე პოეტს ნექტარს ასმევდა თვისის შტვენისას და ისიც მთვრალი, ეშხით სავსე, ჩანგს აჟღერებდა და თავის ქმნილებათ ზეშთავგანებულთ.

ძრიელთ, ნაზებთა და მორცხვებს უსტრებად წყობილს მღერალს უთვლიდა.

—სასაცილოა! ვილაკ პოეტი უჩინარი, მაგრამ ფრიად მგრძნობიარე, კარგი მეტყველი ლექსებსა მწირავს. ეუბნევიდა მომღერალი ტურფა ასული თავის მეგობარს, ტურფასვე ჭაბუკს.

—შენ? შენ კი ვერ ხედავ?—ხმას არა გცემს? ხელის შეხებას ვერ გიბედავს?—თუ შენც ბანს აძლევ მის ჩანგის ჟღერას?!..

იქვნეულობდა სატრფო ქალისა.

—გეფიცები, შენსა მშვენებას, არ მინახია. მხოლოდ ვარდებთან ერთად ლექსთა

კონასაც ყოველ დილითა სიმღერის შემდეგ, აი აქ ვხედავ.

—სასაცილოა, სასაცილოა! ამ გვარი ტრფობა! ორთავემ ერთად გადინარხარეს და შეპყრობა უხილავისა მათ განიძრახეს.

დილა ადრიან ტურფა მღერალ ჩვეულებრივად არაკრაკებდა, თინაც კლავიშებს აყოლებდა და გარმონიას სრულ ქმნილ მუსიკის გარეშე თვისა ანიავებდა,

ემხით დამთვრალი პოეტი მიუახლოვდა სადგურს ტრფობისას და მოწიწებით ვარდებთან ერთად ლექსთა წყობა წმინდა გულისთქმა სარკმელს შეაწყო.

— ხა, ხა, ხა! გადინარხარა ჩასაფრებულმა მომღერლის სატრფომ და წრფელ ჩანგის მქლერალს ხელი წაავლო.

— მაშ შენ ხარ?— შენა? სასაცილო ხარ, მასხარა!.. სარკე არა გაქვს, ძმობილო? არ იცნობ შენ თავს? ვერ ხედავ უძღურს შენსასხეულსა, უფერულს თავპირს, კანკებს დაგრებილს, თვალებს დაბრეცილს სრულს სიმახინჯეს შენის არსების? ხა, ხა, ხა! სასაცილო ხარ! შენ უმღერ ანგებს ჩემს საყვარელსა სირინოზის ხმით დაჯილდოვებულ ტურფა ქმნილებას? ნუ დაენახვი— შემოგაფურთხებს.

ემხით სიმღერა, ტრფიალება, ვნებათა ღელვა ხვედრია მხოლოდ მშვენიერების, სრულის ქმნილების და შენ კი! ხა, ხა! მახინჯი ხარ: დიდ თავიანი, ტანად პატარა... გახუნებული... თუმკა კალამი, ლექსთა წყება შენ ბრწყინვალე გაქვს, მაგრამ ეგენი ფონს ვერ გაგიყვანს, ალაგს არ მოგცემს გულის წილში. წადი იმღერე შეაქე მთანი ტყიანნი, აი ზამბახით

მოქედლინი ველნი ცვრიანნი. კაცთა ხმყარო სევდიანი, ავი ზნიანი და მოხეხვეკე დიდება უკვდავი, ჰყავი მშენი მსახელი, სიყვარულს ეხსენ, ეხსენ სიყვარულს! იგი არს ფრიად ხუმტურიანი, მას უყვარს მხოლოდ ნახატი სახე და სიკაბუკე მზინანი...

—მახინჯი ვარ! დიახ, მახინჯი! და რათ არ ვგრძნობდი? არ მესოდა ეს ნაკლი დიდი? რად მეგონა ჩემი არსება უნკალულო, ზეგარდმო კურთხევით მოვლენილი, უხადოთ ქმნილი? მაშ ბრმა ვყოფილვარ! და სხვათა ბრმობას, მე კი ვკრულავდი! სარკე არა გაქვს, რომ დაინახო რა მახინჯი ხარ? რომ ტრფობა ნაზი, ემხით თრობა, გულის ნდომანი ხვედრ არ არის სიმახინჯისა?...

—ეს მართალია, უცილობელი... მე თვითონა მძაგს ყველა საგანი, რომელიც კია მოკლებული სიმშვენიერეს. ავალს არ უსწორებ, გვერდს უხვევ მარად. მას არა როდის ვუძღვნი ლექსთი საამოს. და არც მე ვაგლახს არ მიმღერებს ტურფა დიაცი, არ გამაგონებს სიტყვას „სიყვარულს“ სიტყვას სანატრელს, ტკბილსა, დიადსა; ერთად ერთს მომქმედს ჯადოსნურს აღმაფრენისას, კვდრეთით აღდგომის მომნიჭებელის...

მაშ გაწყდი სიმო, ჩანგო, შენც მოსპე შენი ჟღერანი. უსიყვარულოდ არ არს სიცოცხლე და მეც ვღუმედები... ვიწყვეტავ ხმასა...

ასე დაასვენა ზე კაცმა და დაამსხვრია თავის სხეული და მასთან ერთად ჩანგი ბრწყინვალე, ნიჭის ნაკადიც გრძნეული.



ლიტერატურული შენიშვნები.

II.

ივ. ვართაგავა.

(დასასრული)


ხელოვანი უბრალო მორიგი ადამიანი-ხელოვნებისა: სიმშვენიერის დასურათებით ბი როდი არიან. ისინი ქურუმნი არიან ატკობენ მსმენელ-გამგონთ; საუტხოვო

სურათში გადაშლიან ცხოვრების გულს და ვააცნობენ საზოგადოებას მისი სიყარგე-სიღუბჭირეს; სდევნიან სიყალბე-სიბოროტეს; გვისახავენ იდეალს ცხოვრებისა და შთავებერავენ ნამდვილ სულს ადამიანობისას. ამისათვის მათში უნდა სდულდეს და გადმოდულდეს ნამდვილი შეგნებული და შეუმწიკვლელი სიცოცხლე; მათი გრძნობა უნდა იყოს განათებულ აზრით; ისინი უნდა გრძნობდნენ ბუნების ცხოვრებას: ყურს უნდა უგდებდნენ ფოთოლთა შრიალს, ტალღათა ღელვას, ქვემძრომთა ხიხვას, ფრინველთა ნავარდობას ქარტეხილის შემზარავ გრგვინვას, ია-ვარდის მშვენიერს სურნელობას. ერთის სიტყვით, ისინი უნდა გრძნობდნენ ბუნებაშია ც იმ უკვდავ სულის ქროლვა-მოძრაობას, რომელიც, როგორც პრომეთეოსის ცეცხლი ასულდგმულებს მათ არსებობას. საზოგადოდ ადამიანის თვალში ბუნება ყოველგან ცოცხლობს, სულდგმულობს: მას ესმის ბუნების ხმა ქვესკნელშია ც, სადაც უთვალავი მადნების ლაბარატორია, პოლიუსებშია ც — ამ ზამთრის და სიკვდილის სამეფოში: საიდუმლო ფიქრ-ზრახვით მოცულია ადამიანთათვის შორიდგან შავად გამომკქერალი უდაბური ტყეც. ადამიანი გრძნობს თვის მონათესავეობას დიად ბუნების ცხოვრებასთან და მისი სული თითქოს გამოსჭვივის საიდუმლოებით მოცულ ბუნების ცხოვრებაში. მართალია, ბუნებაში არ არის ადამიანის სული, მაგრამ ადამიანში არის სული, რადგანა ც კანონი არსებობის ისეთია, რომ უმაღლესი აუცილებლად იპყრობს თვის არსებაში უმცირეს ადამიანის სულს და ბუნებას აქვს საერთო, და ეს საერთო ცხოვრებაა. და აკი ბუნება ასეთის გასაგების, ნათესაურის ენით ელაპარაკება ადამიანს. ეს ენა ბუნებისა ადამიანებში ყველაზე უფრო მკაფიოდ და სწორედ უნდა ესმოდეს პოეტს, მხატვარს. საზოგადოდ ყველა ადამიანში, კერძოდ კი პოეტ-მხატვარში, არსებობს თავისებური სამეფო გრძნობისა, ვნებისა, სურვილისა, შეგნებისა. მაგრამ

ვნება, ეს გრძნობა, ეს სურვილი, ეს შეგნება ეკუთვნის არა მარტო ერთ ადამიანს, მედ შეადგენს ადამიანთა ბუნების სამკვიდრებელს, ამისათვის ვის ბუნებაშია ც მეტია საერთო, ის მეტსა ც ცოცხლობს; ვის ბუნებაშია ც არ არის საერთო, ის ცოცხალიც მკვდარია... — რაში გამოიხატება ადამიანის ერთობა, თანახარობა საზოგადოებასთან? იმაში, რომ ადამიანათვის მისაწდომი უნდა იყოს სუყველაფერი ის, რაც მისი ბუნების მონათესავეა, რაც შეადგენს მის არსებობას და თვისებას. ვინც თანაზიარი და მონაწილეა საერთოსი მისთვის პირადი სარგებლობა და ცხოვრების მოთხოვნილებანი მეორე ხარისხის შესამატი საგანია, ბუნება და კაცობრიობა კი უმთავრეს საგანს შეადგენს მისთვის, ვინც პიროვნება საერთოს გამომხატველია, მას სწყურია მოყვასთა თანაგრძნობა, ხარბად დაეწაფება, სიყვარულსა, დაწყნარებული ბედნიერება მეგობრობისა; მას სწყურია ღელვა გრძნობათა, ბრძოლა დაბრკოლებასთან, მას სუყველაფერი ესმის, სუყველაფერს გამოცხმაურება მოოქრულ დარბაზშია ც, სიმდიდრე და ფუფუნებაშია ც მას ესმის ოხრვა სიღარიბისა და უბედურობის და არ გაყრბის მათს გამლახვრელ დისსონანსებს. ის გარს შემორტყმულია სუყველაფერი იმითა, რაც მას მხურვალედ უყვარს და რასა ც მშობლიურად სთვლის, მაგრამ შინც თანაუგრძნობს ცრემლებს, მოსთქვამს საუკუნო განშორებაზე და დასტირის უბედობას, ტანჯვას, რაც თითონ არასდროს არ გამოუცდია.

ასეთი სრული, მთლიანი და ღრმა შინაარსიანია ცხოვრება იმ პირისა, რომელიც პირად თვისება — მისწრაფებასთან ერთად, საერთო, საზოგადო ცხოვრებით სცხოვრობს.

დიახ, ცხოვრება იმას კი არ ჰქვიან, რომ სვა, სკამო, ფულების და ორდენებისთვის იბრძოლო და იტანჯო კიდევ, თავისუფალ დროს კი ლუარსაბ თათქა-



რიძესავით ქერზე ბუზები ითვალო, ამ-
 ქნარო და ბანქო ითამაშო. ასეთი სიცი-
 ცხლე სიკვდილზე უარესია და ამგვარი
 კაცი პირუტყვზე დაბლა სდგას, რადგანაც
 პირუტყვი, ექვემდებარება — რა ბუნები-
 საგან ჩანერგულ აღილოს, მტკიცედ ასრუ-
 ლებს თვისს დანიშნულებას. აზრიანი სი-
 ცოცხლე გრძნობით, ფიქრ-ზრახვით, ტან-
 ჯვით და ნეტარებით არის აღსავსე; სხვა-
 ნაირი სიციცხლე—სიკვდილია. ერთი წა-
 მი გონიერ და შინაარსიან ცხოვრებისა
 უფრო სასარგებლო და ღირებულებიანია, ვი-
 დრე ასი წელიწადი ყვინთვა მთქნარება-
 ში, წვრილმან და ფუქსავატ მისწრაფება
 — მოქმედებაში გატარებული. ნიჭი ტან-
 ჯვისა ადამიანში აძლიერებს ბედნიერე-
 ბის ნიჭს, და ვისაც არ განუცდია ტან-
 ჯვა, მას ბედნიერებაც არ ესმის; ვისაც
 არ უტირია, ის გულიანათ ვერ გაიცი-
 ნებს და სხვის მხიარულებას ვერ გაიგებს.

გარდა ბუნების და პიროვნებისა, არის
 კიდევ საზოგადოება და კაცობრიობა.
 რაც გინდა მდიდარი და რთული იყოს
 შინაგანი ცხოვრება ადამიანისა, რანაი-
 რადაც წყაროსავით არ სჩქეფდეს და გად-
 მოდიოდეს, — ის მაინც უსრულია, თუ
 კი ინდივიდი არ შეითვისებს, არ გაიმს-
 ქვალება საზოგადოების და კაცობრიობის
 ინტერესით. ყოველი კეთილშობილი ადა-
 მიანი გრძნობს საზოგადოებასთან, სამშო-
 ბლოსთან თვის ერთობას, სისხლ-ხორცო-
 ბას. ერი, როგორც ყოველი ინდივიდი,
 ცოცხალი და ორგანიულია: მას აქვს
 თვისი ეპოქა ზრდა—განვითარებისა, თვი-
 სი საბედისწერო კრიტიკული მომენტები
 სიკვდილ—სიციცხლისა ადამიანი ატა-
 რებს თვის სულში, გულში და
 სისხლში და ერის სიციცხლეს: ავათ არის მათი
 ავათმყოფობით, ჰყვავის მათის ჯანმთე-
 ლობით, ნეტარობს მათის ნეტარებით.
 რასაკვირველია, ამ შემთხვევაში საზოგა-
 დოება და ერი ართმევენ ინდივიდს ხარკს
 იმ განსხვავებით კი, რომ მთლად
 არ იმონებენ და არ იმორჩილებენ მას.
 არც, „მოქალაქემ“ უნდა დაჩრდილოს,

გააქარწყლოს „ადამიანი“ და არც „ადამიანი“ — „მოქალაქე“...

ჩვენ განგებ გადავცდით თქვენს იმისთვის, რომ შეძლებისადაგვარად, დაგვენახებინა მკითხველისათვის, თუ რა რთულ, მრავალ შინაარსიან არსებას უნდა წარმოადგენდეს ყოველი შეგნებული ადამიანი, რომელსაც სურს ადამიანურად იცხოვროს, ხელი შეუწყოს საერთო წინსვლა — განვითარებას და ნეტარ ცხოვრებას, რათა არ გახდეს საზიზღარ პარაზიტად საზოგადოების ორგანიზმზე.

თუ ასეთი ღირსება-თვისებები მოეთხოვება შუათანა საზოგადო მოღვაწეს, ან მორიგ მოქალაქეს, მაშინ რა ღირსებებით უნდა იყოს აღვსილი პოეტ-ხელოვანი — ეს წინასწარმეტყველი, ეს ქეშმარიტება-პატიოსნების, სილამაზე-სიფაქიზის, გმირობა-თავგანწირვის, ტანჯვა-ნეტარების, გატაცება-აღმაფრენის გამომსახველ-მქადაგებელი?

მართლაც, ყველა დიდებულ პოეტ-მხატვარს ღრმად შესწავლილი ჰქონია და აქვს ბუნება, ცხოვრება, საზოგადოება, ერი, კაცობრიობა. ყველა გამოჩენილ პოეტ-მხატვრის გული უძირო ზღვაა გრძნობისა, შეუწყვეტელად მოჩუხჩუხე წყაროა მისწრაფებისა, დაუღვევლი საღაროა აზრ-შემეცნებისა და ოქროს აკვანია უმწიკველო და ზეციურ სიყვარულისა, რასაკვირველია, ეს მაშინ, როდესაც ის ქმნის, ხატავს, მღვდელმოქმედობს.

როგორ უნდა ჩასწვდეს მწერალი ბუნების ცხოვრების საიდუმლო და უმეტყველო აზრს, თუ კი მას არ აქვს „გრძნობა ბუნებისა“, თუ კი ის, როგორც ლერმონტოვის „მწირი“, არ შეიგნებს ფიქალო კლდეების „ზრახვათა“, „ნაკადთა შეუწყვეტელს საუბარსა“, თუ კი ის არ დაამყარებს, როგორც ლერმონტოვი ამბობს, «дружбу краткую, но живую, между бурным сердцем и грозой»?

როგორ უნდა შეჰქმნას პოეტ-მხატვარმა უკვდავი ნაციონალური ტიპი, გამომ-

ხატველი. ერის რთულ ფსიხოლოგიისა, მისი ცხოვრება-მისწრაფების, იდეალის; როგორ უნდა გააცოცხლოს და თვალწინ გადაგვიშალოს სურათები წარსული ეროვნული ცხოვრებისა, თუ კი ის ან სულ არ იცნობს თვისის ერის წარსულ ცხოვრებას ან იცნობს, მაგრამ ზერელად, დილეტანტურად, თუ კი მას არ შეუსწავლია ერის მატრიანე, ხალხური სიმღერები, რომლებშიაც ჩაქსოვილია ერის სული, გული, ჭკვა-გონება, ფილოსოფია, ზნეობა, გმირული თავგადასავალი, ტანჯვა-ნეტარება?

როგორ უნდა შექმნას მან მსოფლიო ნაწარმოები, მთელი კაცობრიობის აზრზრახვის და სულის კვეთების გამომსახველი, თუ კი უნეცარია, არა აქვს შესწავლილი სხვა და სხვა ერთა მწერლობა და ისტორია; როცა მას არ განუცდია საზო-

გადო ტრაგიზმი ცხოვრებისა, არ ჩაჰკვირვებია აზრს ადამიანის ცხოვრებები და არ ყოფილა შეპყრობილი „მსოფლიო მწერლობით“?

ქეშმარიტად, დიდი ნიჭიც ვერაფერ ღირს შესანიშნავს შექმნის, თუ კი გაუწვრთნელი და განუვითარებელია მისი ჭკვა-გონება. ტალანტი, გენიოსობაც კი, როგორც მშვენიერი ყვავილი, სინოყივრეს და ნამს მოკლებული, ჭკნება უდროვით, ვერ ასწრებს ნაყოფის გამოღებას.

სწორედ ასეთ სურათს წარმოადგენენ თითქმის ყველა ჩვენი ნიჭით დაჯილდოვებული მწერლებიც: დიახ, მათ აკლიათ ცვარ-ნამი, სინოყივრე, მასალა, ვინაიდან არა აქვთ საკმაო ცოდნა ბუნებისა, საზოგადოებისა, თვისი ერის და კაცობრიობისა...



ავარონიანი.—სამხის ბეჟეტრისტი და ზუბლიცისტი, რომელიც დატუსდებული იყო დაშხაგეტუნის საქმის შესახებ და კხვასან განთავისუფლეს 20.000 მან. სსწინდრიო.



ს ა დ?

ა. გაფრინდაშვილი.

(ჰეიკელის)

სად მოუპოვებ მეზავრი მაშვრალი, უკანასკნელსა სავანეს ჩემს ძვლებს? რეინის ტურფა ცაცხვებისა ქვეშ? თუ სამხრეთშია, სად ტყე შრიალავს?

მკვდარ უდაბნოში, უცნობის ხელით, დაუტირალი დავიმარხები?

თუ ტრიალს ველზედ, ყორნისგან გათხროილს, შავ-ბნელს სამარეს მივებარები?.

მაგრამ რას ვაქნევ?-თვით ცა ლაქვარდი ხომ სამუდამოდ ჩემთან დარჩება, და ვარსკვლავების ნაზი სხივებო, მე მალლიდგანა არ მომაკლდება.

მ ა შ რ ი

დ. მესხი.

უსამუშაო ინტელაგენტის დაუწიდავან.

ერთ ბედნიერ დილას სასტუმროს გაყინულ ოთახში თვალები გავაჭყიტე.

ჯიბეში, ვიცოდი, ნაღდი თერთმეტი კაპიკი მქონდა და ორი „სიმპატიის“ პაპიროსი..

ამ-ავლა დიდების პატრონს ფიქრნი-ზრახვანი დიდი მჭიროდა:—სადა და რითი მესაუზმა. მესადილა, მევახშმა, მეპაპიროსა.

ოჰო, სამივე, სამი „ინჯრა“ მომინდა და ბოლთის ცემაც განცხრომა ზედ!.. და რის პატრონს?!

თერთმეტი კაპიკით?!

ფაცი-ფუციით, კანკალით ტანთ შევიმოსე და გამოვედი. გამოვედი ისე არხეინათ, თითქო ჯიბაში თერთმეტი ათასი მქონდა.

ქუჩები თოვლის მთებათ არის გადაქცეული.

ბედი!

ვიდრე საღამომდე მოვალწიე. — არც მშვიერი ვარ და თამბაქოსაც ვაბოლებდი...

სარძევეში ღვთიანმა ამხანაგმა მიმიწვია, მოკეთესთან ჩაუსადილე, ჩაუპაპიროსე, და მეორე მოკეთესთან ახლა მივდივარ, სა-

ღამოს დასანაყრებლათ. ორი-სამიც სხვა ამეტორლილა.

ის იყო მივედით იმ მოკეთის კარებთან, რო მარხილიც სრიალით მოადგა ლამაზი ქალით. ლამაზს ხურდა ფული დააკლდა მეეტლეს მისაცემათ და გადმოგვძახა: — ყმაწვილებო, ერთი შაური გექნებათ, მასესხეთ!—

ყველას დავასწარი, იქნებ, მათდა იღბალზეც, ჯიბეს ხელი გავიკარ და ჩემი თერთმეტი კაპიკი გავუწოდე...

შაური წავიდა!

შევედით თბილს ოთახში... ოთახი სამოთხეთ მეჩვენა და სამოვრის დუღილი ტკბილ ნანინათ.

ჩაის შემდეგ ფრაპი.

რამდენიანი ვითამაშოთ?

— შაურიანი!

— მაგრამ ნაღდზე... ნისია არ იყოს!

— ნისია სხვისია!

ჯიბეს ხელი გავკარი და თერთმეტი კაპიკიდან ობლათ დარჩენილი ორი სამსამ კაპიკიანი ერთმანეთს დაეჯახნენ და, თუმცა საკლავი, მაინც წკრიალი გაიღეს.

ჩაუჯექია. ჩემს ბედს ცვალებადობა დასჩემდა. თავიდან ზორბათ («ჩამარემ ზეს») ბოლოს იღბალი შემოპიტრიალდა და მოგებასაც დავრჩი. მაგრამ ანგარიში ისე აირდაირია, — აბა, რასიკეთე დაეყრებოდა, — ოთხი ხან გადასული მანდილოსანი იყო ჩემი პარტნიორი — ანგარიში ისე აირდაირია-მეთქი. რომ ჩემდა წილათ ნიკოლოზის დიდა შალრიანი დარჩა მწვანე მაგიდაზე.

კიდევ თერთმეტი კაპიკი!
მაგრამ მოგებული და ისიც შაური ჯიბეში ჩამედვა?

რა დარდიმანდობა იქნებოდა?!
დავუძახე მსახურს:—
— გეთაყვა, ექვს კაპიკიანი „სიმპატია“ და ეს შაურიც შენი გასამჯელო!...

ნაევანშმევს ჩემს საყინულეს დავუბრუნდი.
დილას წმიდათა ვარ. სუუთათ—გახვრეტილი ფარა!

გასესხებულ შაურის იმეღით საჩაეში შევედი. ერთი ჭიქა ჩაა, ორი ბუბლიკი— შაური. საკაა, ღღეს მომაწოდებს, ვენაცვალე, ჩემი მოვალე და მანამდის შაურს როგორ არ მენდობიან-მეთქი..

ჩემზე იყოს-თქო, რო ვუთხარი, ბიჭმა რაღაც წაიდუღუნა. ყური მოვკარი:—თუ შაური არა გქონდა....

კარი მოვიჯახე.

ჭიქაში „ჩისტები“ დამედვენ:—კნიაზ, გაცმინდო... ბროლივით... ქალოში, ცაღა „ჩისტი“, კნიაზ, შაური!

—არ მინდა „ჩისტათა“ ვარ.

ტუტუტუკმა „ჩისტებმაც“ ჩაიდუღუნეს, ესე მომესმა:—

— კნიაზ, შაური არა!...

— გაზეთები. გაზეთები!! — და მეგაზეთე ბიჭმა შიგ ცხვირთან მომიტანა რუსული გაზეთი...

— „სახალხო გაზეთი“ -მეთქი ჩემზე იყოს შაური...

— არა, ღღეს დამატებიანია, შვიდი კაპიკი უნდა.

— არ მინდა-თქო, გაბრაზებული გამოვტრიალდი...

— ბატონო, შაურიც არა გქონია და ბარემ ორი კაპიკიც ზედ იყოსო...

მოვშორდი და რაღაც ჩაიდუღუნა კილაწირაკმაც...

— ლექციაზე არ მოდიხარ, — დამეკითხა ამხანაგი... ტყეშელაშვილი 606-ზე კითხულობს და სუნლაძე, რომელიც ახლა დაბრუნდა ქუთაისში, რუსულათ კითხულობს სანინზე, ანფისაზე და ლაუდამუსზე... ქანდარაზე მივალთ. შაური უნდა ბილეთს.

— 606 მე არ მეჭირება, ჩემს გარდა სხვაც ბევრი ეყოლება მუშტარი ქუთაისში და ხუნდაძის პარუსკობაში შაურს ვერ გავიმეტებ-თქო. და მოვშორდი.

— გონია, იოხტურ შაური!... მომადახა ამხანაგმა და რაღაც კიდევ ჩაიდუღუნდა...

— ბატონო, შემეწიე. შენი მუხლების ჭირიმე... მამი შენის ოჯახში ნამყოფი ვარ, ნუ დაზოგავ ჩემთვის ერთ შაურს... შენი...

— არა მაქვს, არა! მერე, მერე-თქო... ოთხ-ამონაღები მოვშორდი ჩამოფლეთილ გლახას და გავეშურე ბინისკენ...

— ე კაცო, ნაღვინევი ვარ, წუხანდელი გამოყოლილი, მწყურია გამწარებულათ, გვარჯილის წყალი მინდა, გექნება ერთი შაური! — კარებში შემეფეთა ნაცნობი.

— ღმერთმანი, არა მაქვს თქო და ავირბინე კიბეზე...

— აი, ღმერთი გაგიწყრა და შენც... რაღაც კიდევ წაუმატა, ველარ გავიგონე, ოთახში შევევარდი.

— ბატონო, საცვლები მოვიტანე, მა-

გრამ დამაკლდა... გარეცხელი ერთ შა-
ურს...

— არა მაქვს! — შევეტრიალე და კა-
რში გავაგდე მსახური... მომესმა რაღაც წა-
იღუდუნა...

—
მაგიდაზე კონვერტი შევნიშნე, ლამაზი,
სურნელებით აპკურებული.

გავხიე, გადმოვარდა ვერცხლის შაური-
ანი:...

ნიკოლოზის დიდი სპილენძის შაურია-
ნის ნაცვლათ.

ლამაზმა!... შეველოდი!?

რომელ ერთს გახვდებოდა?!...

გავხვრიტე და გულზე ავგაროხათ ჩა-
მოვიკიდე.

ქართული
ბიბლიოთეკა



დარიალის ხეობაში ზახის წყნაკი

ფინანსოვნობა

ქართული
გინგლიმოთხა

მარიამ ჩხეიძის, ასულის რეფერატი. ქართული ენა მკურნალის ვაჟთა და ყაუხჩევისკერძო ქალთა გიმნაზიებში.

ბ. ა — ნი.

რუსულად დაბეჭდილმა აფიშებმა აძინა ქუთაისის საზოგადოებას, რომ 28 იანვარს გამგეობის დარბაზში ზეტერბურგის ქალთა უმაღლესს სასწავლებელში იურიდიულ განყოფილებაზე კურსს დამთავრებული მარია ჩხეიძის ასული კათხულობს რეფერატს შემდეგის თემაზე: „რაშია ჩვენი საზოგადოებრივი იდეალი, იურიდიულს თუ მორალურს ურთიერთობაში?“ რეფერატმა ძლიერ დამაინტერესა. მართლაც და განა საინტერესო არაა გავიგოთ აზრები უფლებებზე და ასეთ უფლებებზე აღმასთან, როგორც არის ქართველი ქალი — უფლებებზე და დაბეჭდვითი არა მხოლოდ როგორც ქალი, საზოგადო სოციალურ მოქმედებებშია გზაში, არამედ, განსაკუთრებით, როგორც ქართველი ქალი, წევრი იმ ერისა, რომლის საუკუნოებში გამოქვდალი უფლებებ „დაეს დატყვეული და ცოცხალ-მკვლარია“. აფიშებიდან ხსნდა, რომ რეფერატი უნდა წაკითხულიყო რუსულს ენაზე და მეც ვაფიქრე: ადრე დატყვეული უფლებებ, მაგრამ მომავალი უფლებებისათვის მხარეული მერცხალი განკურნო კათხულობს რეფერატს რუსულს ენაზე, რომ რუსულს საზოგადოებას განცნოს გავრით მანც მშობელი ერის უფლებების ნიმუშები, მაგრამ, სამწუხაროთ, მწარეთ მოვსტყუდი. ნაცვლად რუსული საზოგადოების (ხუთიოდ წინს გარდა) რეფერატს დაესწრა მხოლოდ ქართული საზოგადოებას. რეფერატი აშენებული იყო განტონებული ერის აზროვნების მიხედვით, რადგან ერთი სიტყვითაც არ აღნიშნულა იურიდიულ მორალური მხარეები ერფხულს ურთიერთობისა, თითქოს ქართველებისათვის ერფხული საკითხი ისე უმნიშვნელო იყოს, რომ მასზე თეორიული მსჯელობის შეხერხებაც არ ღირდა. ამ კარკამებამ გამოიწვია ამ სტრატეგების დამწერის შეკითხვა შემდეგის მიხედვით: „ჩვენ გავიგონეთ მსჯელობა საზოგადოთ უფ-

ლებებზე, მოახსენიეს უფლებებ თეორიულად, საზოგადოებრივი და ინდივიდუალური, მაგრამ სამწუხაროთ ცხოვრებაში კარკამებმა უფრო თეორიულად, ვიდრე ამას თქვენა თეორიული მსჯელობა გვიჩვენებს. თანამედროვე სახელმწიფოებში ჩვენ ვხვდებით, რომ განტონებული საზოგადოებისათვის ერთი აზრებიდან დამხატვრული ქვეშევრდამი საზოგადოებანი, რომელთაც აქვთ თავისი საკუთარი ინტერესები და ფიქრობენ თითქოს მათ უფლებებ უმეტესთ თავის წევრებს მოსახოვან მშობელ ერის ინტერესების დაცვას იმ შემთხვევაშიც კი, როდესაც იმავე ინდივიდუალს სულ წინააღმდეგს მოთხოვნილებას უყენებენ განტონებული საზოგადოების და სახელმწიფოს თეორიულად უფლებებანი. აი ორი კონკრეტული მაგალითი. ჩვენაში არსებობს ერთი აკადემია, სადაც სწავლება გერმანულს ენაზე არის. ერთმა ჩხელებმა სტუდენტმა, რომელსაც ზველე ეწოდებოდა, ჩასწერა სტუდენტის წიგნაში თავის სახელი გერმანულს გამოთქმით „ზაულუს“. დანარჩენმა ჩხელებმა, როგორც ეს ამბავი გაიგეს, მოითხოვეს მისგან, რომ სახელი ჩხურის გამოთქმით „ზაულიჩეკ“ გადაესწერებინა. მე გამკვირვდა „ზაულუს“ და „ზაულიჩეკი“ — სათვას ახეთმა აურხაურმა, მაგრამ ახსნაც მალე მივიღე. ჩვენ, ამიბოძეს ჩხეები, გვაქვს ანტორიული უფლებებ არსებობისა, ჩვენა ერთ სტრატეგობდა, სტრატეგობის და კვლავაც უნდა ცხოვრობოდა. ამასთავის ჩვენ სრული უფლებებ გვაქვს მოვსთხოვთ თვითიულს ჩხეს, რომ მან მუდამ შეარჩინოს თავისი ერფხული სახელი. წინდაწინ ვგონებ, რომ ამ მაგალითით არ დაკმაყოფილდებით, ბურჟუაზიულ წრიდან არის ამოღებული და ამასთავის ორივე სიტყვით მერე მაგალითსაც მოვიყვანთ. ჩხეისა ზრდიტარატიც ზრდიტარატიც კავშირს (ნაქრებს) წინდადებს მოყვადით ვენელ ამხანაგ-

ბიძან ორგანიზაციის გაერთიანების შესახებ. ჩემთვის დადგინეს სხვათა შორის: მათთვის ვინ ვერაფერს ამხანაგებს განანტეობა იმის შესახებ, რომ ჩემის სწავლებელმა გამართულ ორგანიზაციის სასარგებლოდ სხვათა წარმადგენებისათვის, როგორც აფიშები, ისე ბილეთები აუცილებლად ჩემურ ენაზე უნდა იბეჭდებოდეს. და როდესაც ასეთ მათხანაგების შესახებ ჩემი განცვიფრება გაუუხიარე ერთს მუშას, მასთვის შემდეგი მივიღე: „ჩვენ, ჩემების ზრდაეტიკები, მივიწინააღმდეგებთ იმ სუბიექტურ მათხანაგებს, როდესაც დამუხრდებიან მუშების შრომის, მაგრამ ამასთანავე გვსურს, რომ იმ ნეტარების სხვაში უხებლად მივაღწევირთ ჩვენს ერთხელს კულტურას. ერთხელ კულტურის შესახებ ჩემებთან ვა ეს ჩვენა მათხანაგება არა წვრილმანია, როგორც თქვენ გგონიათ, არამედ ფრად მხაშველანია. ასევე იქნება ზოგანელი გერმანიაში და სხვა. მას რა ქნას ინდივიდუალ ასეთ შემთხვევაში, როდესაც ერთის მხრით ორა უფლებას — ოფიციალური სხელმწიფო და განატარებული სწავლადების, ხოლო მეორეს მხრით მხოლოდ დამხანაგებული სწავლადების უფლება? ამ კითხვის განმავლობაში რეფერატი ამკართ კომპლექტად სხვათათ, დეპუტატებს ინიშნავდა, მაგრამ როდესაც თავმჯდომარე გამომეცხდა შეკითხვა რეფერატის თემს არ შეეხება — მანაც ისარგებლა შემთხვევით და სკაითხა უმსხრეთ დასტავა. მიზანი ვა ჩემი შეკითხვის ის იყო, რომ შორეულის მკვლადით თავსახანათ მიგვეთითებინათ მათ მიერ რეფერატის რუსულ ენაზე წაკითხვით ჩადენილ იურიდიულ შეცდომასზე. მოგეხსენებათ, რომ ლექციები და რეფერატები, ისევე როგორც სკლას და თეატრი, კომსხურების ხელისა განათლებას. ისიც ეველასათვის ცხადი უნდა იყოს, რომ სხვა ზედაგოგორ ზრინების თანხმით, როგორც სკლას და თეატრი, ისე ლექციებიც და რეფერატებიც სიმშობლო ენაზე უნდა სწარმოებდნენ. ამას უცადიანრობა ანუ უეურადლებით დატოვება არ მიუტყობს დახარულ ერთს შვილს, რომელსაც მშობელი ერთს სისხლით მორწყული გზით მიუღწევს უმადეს სასწავლებელად და გან-

თვითცნობიერებულა უფლებების შესწავლით. შორეული შეხედულება აქ არაფერს ნიშნავს. რუსეთის ზრდაეტიკების წარმომადგენლებმა დეპუტატმა კარლო ჩემიქმ დათალ სასწავლებლების კანონ ზრდაეტიკის განხილვის დროს სხვათათორის ტრიბუნადან გაბეღვით მოუწიდა ზატარა ერების წარმომადგენლებს სამშობლოების დასაცავათ შეერთებულიყვნენ. როგორც ზრდაეტიკების წარმომადგენლებს, შეიძლება გადაც კინცხვენ მას ამის გუდასათვის ისეთი შეცნიერება, რომელთაც გ. ქაქიძისა არ იყოს „რაქდინიის ჩემქმბი მთელი სამყარო ჰგონიათ“ — სხვა და სხვა ერების ბურჟუაზიულ წარმომადგენლების ხელის გაწვდენით კლასობრავ თვითშეგნების აბელების, მაგრამ ბ-ნი კარლო, როგორც სხვის, ასეთ უსაფუძვლო ბრადებებს კვლავაც არ დაურადება. ვთქვით, რომ მამვალში გადაც უფრო ამკართ ადარებენ ჩვენა დეპუტატები დაბეხვებულ საქართველოს წმიდა ერთხელ უფლებებისათვის შრომის და ბრძოლას, რადგან ჩემებზე უფრო ჩვენ გვებრდება სკუთარი კულტურის დაცვა. თუ ოფიციალურ უფლებასთან ჩვენ ვადვარებთ არა ოფიციალურ, სწავლადობრავ უფლებას, მათ უმეტეს ასევე უნდა მოვაქციეთ სწავლადობის და კერძო ქართველის უფლებასზე. საქართველოს ერთხელ უფლებას აცხადებებს ჩვენ წინაშეთა დავერებულ სისხლისკან ჩამოყალიბებული მრავალი ძეგლი. ჩვენს ერს სუეერების განმავლობაში ჰქონდა ერთხელა ოფიციალური უფლება, რომელსეც თუ ფაქტურათ არა, ფორმალურათ მინც ხელი არ აუღია. თუ გარეშე ძალეობა სხვა და სხვა მოსხრებით მისი უფლებების ფეხით გათეღვას დამბენ, მას მათ უმეტეს შეუძლია მოსთხოვოს თავის შვილს მშობლის წმიდა უფლებებისათვის თავის გამდებობა. ამ მოსხრებით თვით ზრდაეტიკების მავლებობაცაა მათხნოვოს სხელმწიფოდან სწავლის სამშობლო ენაზე დაჯანბნება. მაგრამ, რასაც სხვისგან მოვითხოვთ, განა უზირველესთ ის ჩვენ თითხვევარ უნდა შევასრულოთ? ცხადია, რომ მკვლადით თვით ჩვენზე უნდა ვაყოთ. სხვისთვის თუ დახმავლობა ჩვენი ერის უფლებების შე-

დახვავ, ჩვენთვის ხომ ასეთი საქმიანობა არ გე-
 ცი დახმარება იქნება? ამიტომაც ვთქვამთ, ^{განმარტოებული}
 ქართველი ქალისგან ქართველთა წრეში უნდა
 ენახე რეფორმების კითხვა ჩვენ მაგვანაა
 იმის დადატათ, რას დაგვასწავს ჩვენ სხვისგან
 მოვითხოვთ. ჩვენ, შეიძლება, ხმაზე არ ამო-
 გვედო, რომ რეფორმები ეოფილიყო ხანში
 შესული წევრი ჩვენის გადაგვარებულ არისტო-
 კრატულ ინტელიგენციას. ნათქვამია, მკლის
 თავზე სხარების არ კითხულობენ და ჩვენც
 არავითარი სურვილი არ გვქმნობდა ასეთივე
 შენაშენებით მიგვემართა. იმ ვაჟბატონებისად-
 ში, რომელთაც კრი მუდამ ენახე აკრიათ,
 საქმით კი საკუთარი ოჯახიც გადაგვარების
 გზაზე დაუეჩნებიათ და თვითონაც რომ მოინ-
 დამონ, ვუღარ ახერხებენ ქართულათ კითხვას
 და დახარჯს. მაგრამ არ შეგვეძლო გავჩუქე-
 ბუფიყავით, როდესაც თვალწინ გვედგა ახლ-
 გაზრდა ჯან-ღონით სუსე, უფლებებში განსწავ-
 ლული ქართველი ქალი, რომელსაც დევან-
 დელი არსებობს მოუწოდებია მშობელი ერის
 შეწყვენით და მომავალშიც ფაქტობს (რო-
 გორც გადმომტეს, დის მიერ დაარსებულ კერ-
 ძა ზრგომისზიაში ეოფილა მასწავლებლათ)
 სამშობლო კერაზედაც მოიზოდეს სინდისიერ
 შრომისათვის საჭირო ასწარეზი, ხოლო თა-
 ვისი ზირველ ნაბიჯით ასე დაუფიქრებლათ მუ-
 სრავს მშობელი ერის უწმიდურს ერის უფ-
 ლებას. მე მსურდა შეძლება მიმეცა ოდნავ მ-
 ინც შეეკეთების თავისი შეცდამა და ერის
 უფლებების თუნდა მოკლე, გაკვირთ აღნიშვნათ,
 იმედს მაინც მოგვეტედა რომ მომავლას თავის
 მოდგაწოდებაში შეძლებას და გვართ ანგარიშს
 გაუწევდა მშობელი ერის ელემენტარულ უფ-
 ლებას. მაგას ვინ იტყვის, რომ ასეთი მო-
 ხოვანდების შესრულებას ადვილი საქმე იყოს.
 ჩვენ ძალიან გარკათ გვეძმის, რომ არსებულ
 ზირობებში აღზრდილ ქართველს უფრდის ერთ
 შემთხვევაში სამშობლო ენა არ ემარჯვება. იშ-
 ვათათ ჩვენში ისეთი ინტელიგენტი, რომე-
 ლიც სამშობლო ენაზე უკეთ სუბრობდეს ვი-
 დრე უნდა ენახე, მაგრამ უკუდმართმა სინამ-
 დელემ თვით უკუდმართობს უნდა გავგაზრ-
 ცებთიის? არასიერ შემთხვევაში. ქ-ნი ჩხეიძის
 ასული თავის რეფორმის რეგულიდან კითხუ-

ლობდა. სინამ სსოგადობის წინაშე ^{განმარტოებული}
 დოდა უნდა მიეღო თავის თავზე იმის შრომა,
 რომ ის რეფორმები თუ არ დაეწყო, ^{განმარტოებული}
 დაეთარგმნა ქართულს ენაზე. განა უკეთესი შე-
 მთხვევა შეიძლება ენის შესასწავლათ? დარწ-
 მუნებელი ვარ, არც ერთი ქართულის მცოდნე
 ზირი არ დაამდლიდა თარგმანის ენის მხრავ
 შესწორება-შესლამიანებს. რასაკვირველია ამით
 ის ზედ მიწევნით ვერ შეისწავლიდა ენას, მა-
 გრამ იმდენათ მაინც ადვილათ გავარჯიშდებო-
 და რომ რეგულში ჩაწერილი რეფორმა წაე-
 კითხა. დებატებში კი თუ ქართულათ ვერ მო-
 ახერხებდა შეეძლო რუსულათ ესაუბრა. რას-
 კვირველია, უკანასკნელ შემთხვევაში ზრდილო-
 ბს ბოდიშს ათქმევენებდა სამშობლო ენის უც-
 დინრობობისათვის, მაგრამ სწორეთ ხშირათ ბო-
 დიში ტანჯული ერის წინაშე, გაბედული აღი-
 არება საკუთარის ხველულოვანებისა, ერთი უძ-
 ლიურესი საბოთათ სუეკეთესი მომავლასა. ამით
 იმ მოზარდ თაობას, რომელიც მის რეფორმის
 ისმენდა, ერთხელ კიდევ აგრობობინებდა სამშო-
 ბლო ენის შესწავლის საჭიროებას და არც ხელს
 შეუწყობდა გადაგვარების ზოლიტიკის იდე-
 ლოგთ. განა ჩვენი ცხოვრება ისედაც სავსე არ
 არის გადაგვარების ტენდენციებით?

აი თუნდა შემდეგი გარემოება. იმ დროს,
 როდესაც ქართველი მამულიშვილი მთელი კა-
 ცობრიობის სუურადდებოთ ქართულ ეროვნულ
 მოთხოვნილებებს იყენებს ლონდონში მო-
 მხდარ ზეტარა ერების დამცველ ლივის გრუ-
 ბაზე, იმ დროს, როდესაც რუსეთის ზროლე-
 ტანიატის წარმომადგენელი ბ-ნი კარლო ჩხეი-
 ძე სოათობროს ტრიბუნადან არარუსთა არ-
 მამადგენლებს მოუწოდებს მათი სამშობლო
 ენის დასაცავად, ამავე დროს ჩვენსავე სამშო-
 ბლოში ჩვენივე მოძმენი წარბ შეუხრულათ განა-
 რობებ სამშობლო ენის ელემენტარულ უფლე-
 ბების შებდალვას. ქუთათში არსებობს ქართუ-
 ლი კერძო ინიციატივით დაარსებული ზირ-
 ველი სავაუეო გიმნაზია (ქართულ გიმნაზიას
 ჩვენ ვთვლით მთელი წოდების და არა კერძო
 ზირის ინიციატივის ნყოფათ) რომელიც თავს
 ინახავს ქართველი მშობლების მიერ იქ მოს-
 წავლელ შეილებისათვის გარდახდილ სწავლის

ფულათ და ამ სსსწავლებელში მისწავლეთ სს-
მშობელ ეხას და ისტორიას თითქმის სრუ-
ლეთით ადგილი არ ქონია. ისტორიის ჭკ-
ხეობა არ ეოფილას, ხელთ ეხას გავლენით
ბიასთუის ვიბრში არი სსათი (უკანსკელ კლას-
ში კი არც ერთი) ათვლებს არა სავადლებუ-
ლთ. მსწავლებელს კი ეძლევა მხელოდ ნა-
ხეობა გონიერი. ე. ი. ქართული გავლენით-
ლის არი სსათი ფასობს თურმე იქ იმდენს-
ვე, რასაც თათი სსათი ისტორიის, გეოგრა-
ფიის ან გერმანული ეხას გავლენით.

რა არის ასეთი საქციელი თუ არ დანებ-
მთელი ერის უწმინდეს გრძობებს? მიუხედა-
ვით ამის, ჩვენ გრძობებს არ მივამრთავთ.
ჩვენ მივამრთავთ სვლ გონებს, მშობელი ერის
ელემენტარულ უფლებების შეგნებით გათვით-
ცნობიერებულს და მივითხრეთ ფრთხილათ
მივამრთავთ, რომ ამ გვარის შეცდომებით ჩვენ-
ვე არ შეგუწოეთ სელი მშობელი ერის უფლე-
ბების შელახვას. ვისგან უნდა მოვუღოდეთ ამ
საქმეში თანაგრძობის? არა იმ დეგენერატო-
გან, რომელთა ცნობებიდან ბ-ნი იმ. ვართ-
გავა ვურნალ „განათლების“ 1 ნომერში გად-
მოკვეთს შემდეგ შემადწიხებელს ამბავს,
რომელიც ამ სსში წლას წინათ აღუნიშნავს მას
თავის დღეურში:

არმცნდა ერთმა ქართველმა სტუდენტებმა
შეტერბურში სსდამსხედ გაუწითლებლათ სთ-
ქვეს: „ილია, როგორც მამულიშვილი, მას-
კლავი იყოფა:.. მომეტებულმა ნაწილმა ქართ-
ულ სტუდენტებში ამ ზეობა არ სცა ილიას
ხსოვნას, აუკადრის ფეხზე ადგომა, მოუხერ-
ხებლად სცნა, დეშეშ გავცხავნა ილიას მოკ-
ვლის დასაგმობათ?“ ეს ვაჟბატონები არ შედ-
რებობან მშობელი ერის მამისშვიან წინაშე, თღ-
ნდ თვით იქნენ განცხრომაში და ეს მათი გა-
ნცხრომა თუ გინდ ქართველი ხელხის ჩინხე-
ბებზე ხდებოდეს. ჩვენ ამედს ვამერებთ ქარ-
თულ დედსზე, რომ ის უკველათ მოატანს
ღვრთვას მსხვერზლს ერის საკურთხეველზე
და „მისი შვილებიც ახლთ მომავლში გამთ-
ხენენ ენერგიას, სიმხევეს, შრომას და საქმი-
ანობას...“ ესეთი იმედობისთვის მიხეხებოც
გვაქვს: იმდროს, როდესაც ქართველი მამკ-
ცი ზემოთ აღნიშნულს სამარცხვინო საქცი-

ელს ჩადან, ქართველი ქალი, შედარებით, ხე-
გიერთ შემთხვევაში მანც, უფრო უფრო
იქნევა. იმავე ქეთასში არსებობს „მსხვერ-
ლთა კერძო გამხსნა ქალბატონის ეახხევი-
სა, რომელმაც ქართულ ეხას ვეროვანი უე-
რადლებს ექვევა. თითულ კლასში ქართული-
სთვის სამ-სამი გავლენითაა გადადებული, ს-
განი სავადლებულთა, როგორც სხვს უმთავრე-
სი სვებები და მსწავლებლებიც ეოველის მხრეც
სრულ უფლებობანი წვერნი არიან შედგოვიურ
საბჭოსი. ჩვენ გვწამს, რომ ქალები სხვს
დარგობადან ასევე გონიერად მოაქცივან და მ-
მა გაცეობას სილახრეს არ გამთხევენ. 8-9 წლას
წინეთ, თუარ ვსცდები „ცნობის ფურცელში“
იბეჭდებოდა სსიტერესო ფელეტონები ბ-ნის
ასრან ბაქრადის. თვით ვექილი ბ-ნი ბაქრადე
ამხელდა თავის ამხანაგებს, ქეთასის ვექი-
ლებს, მოქალაქებოვე მოვადლებობის მივამრთავს
და ზირად ინტერესებთა მორგეში ჩათვლას.
იქვე იყო მივანხილი სტატისტიკური ცნობე-
ბი ამის შესახებ თუ რა სულეერ საზრდოთი
იკვეებოდა მშობელი ვექილთა წოდებს და
ცითერებით დასურათებულნი „მარილიანი მამ-
ქვეუნიანნი“ იმედის დამკარგავი სხეს გვიხე-
ბენ. უმეტესობის სრულეთით არავითარი სე-
ლაერი საზრდა არ ვქნდა, უმცირესობიდან
კი მხელოდ რამდენიმე ზირი იწერდა ქარ-
თულ ვურნალ კახეთის. განა ის წოდებს,
რომელსაც მუდამ უფლებასთან აქვს საქმე უწი-
ნარეს არა უნდა დათვებრებულყო მშობელი ერის
უფლებობის მიხეხებზე და ცდალიყო მასთან
შემრძობებებს? მკვრამ სამწიხროთ, როგორც
გამთარგვა, შესადლებელი ეოფილას უფლების
მეცნიერებით შეწვრდამხურთ ვაჭრობს! არ ვა-
ცი მას შემდეგ რა ევლოთუცა განიცადა უფ-
ლებობის თვითდაღურმს დამცველმა წოდებამ, მ-
გრამ ჩვენი საზოგადოების სკრთო უფლებ-
ბოვე შეგნებს რომ შესამხევეად არ უმცოთამას
ამკარად ამტვირებს ზემოთ მივანხილი ფაქცი.
ჩვენ მანც ამედს არ ვვარგავთ და საქმის გა-
მაკეთების მივლათ მხელათ მისგან „ვიბრ
უნდა მისცეს მომავალი ხელსის.“ განა უფლე-
ბის მეცნიერებით გათვითცნობიერებული, დღე-
მდის სოციალურათ და ეროვნულათ დამონე-

ბუღა არსება არ უნდა აქნეს უფლებბრაუ აღორძინებას მხარობელი პერტნადა? ვიფიქრობ, რომ არც უნდა აქნეს მხარობელს მომავალში და დიდება იმას, ვინც შესაძლებს გაუღვიძოს ქართველს კრს გაზაფხულას მოახლოებების იმედი! ბ-ნ ვართავასთან ერთათ ჩვენც მიუწყობდებო ქართველს უმთავრეს იმედს!

უდადეგ ისმინე! ქართლას ვუდრება..



პირველი მწუხარება — ქანდ. განკი ფრანკოსის,

იხარხარე ავო სულო!

გიორგი ფოცხოველი

ადამიანის სულის სიღამაზეს ორი მცნება აქვს: თავისუფლება და სიყვარული. მათ შევხარით, მათ დავნატროია, სისხლს ვანთხევთ მისთვის!.. ძალას, გონებას, მხნეობას არ ვზოგავთ მათ მოპოვებისათვის,

სულის და გულის თიანდაზად ფეხქვეშ უგებთ/წმიდათა წმიდას. ძვირფას განძს და მისიანი მისიას, მუშაქნი სდარაჯობენ და ტკბილათ,, ნახათ უძგერთ გულ-მკერდი!. მათშია გამოხატული მთელი სიცოცხლე ერისა, შიგ არის მოთავსებული წმინდა ტადარი სალოცავისა. მათკენ მიპყრობილია ადამიანის შემოქმედებაც!..

ვაგლახ ჩვენ თავსა!.. რა რიგ შევებღავლეთ ეს ორი მცნება, როგორ დავენიღდით, გავთახსირდით, დავძაბუნდით და ლაფ მოსვრიღნი მხეცურ ბინძურ ყინს დავემონავეთ!..

დავკარგეო ნამუსი, პატოხსნება და ვიხრჩვებით ჩვენივე ქუქყის მორეეში!..

დასწულელებულნი სულის ვლათავთ და ხავს ვეჭიდებით, თანაცნორჩ სიცოხლეს, უბიწო ანგელოზთ თან ვითრევთ და მათთაც ვხრწნით!..

ოხ, ავო სულო, რას დავგხარხაოებ, რათ გვიწამლავ წუთი-სოფელს?! წაიღებ რასმეს და შენ შევრჩება ეს ქვეყანა?!

არა, მოკლეა შენი დღენი, გაზაფხულის ნიაღვარი მალე წალეკავს შენგნით შექმნილ უწმინდურ ცხოვრებას და ქსელსაც დასწყვეტავს!.. დაიგრიალებს მალე, ძალიან მალე ცხოვრების ტატნობზედ შეკრებილი სულის სიმდიდრე, მისი დიდება და ელვით ქუხილით დაამზობს შენს დამპალ ცხოვრებას!..

მოდის იზრდება ახალი ჩვენი თაობა! სიხარულით წინ ვეგებები, მათშია ძალა განახლებისა, აღორძინებისა!.. იგია მხნელი დაცემულ კაცობრიობისა!..

იხარხარე ბოროტო სულო, ჯერ კიდევ შენი ჯერია, მაგრამ მალე კი ჩაიწყვეტავ ხმას!



პითოე რეცენზია.



ასკ. პრკ—ფია.

(ქუთაისი)

კვირას ნ თებერვალს, საღამოს, რა-
 ლაც სასწაულებრივ—შემთხვევით, ისიც
 ჩუმათ ფარულათ, გაეხდი ბედნიერი და
 ლავესწარი მუსიკალურ-სალიტერატურულ
 საღამოს საღაც მონაწილეობას იღებდ-
 ნენ: ჩვენი დიდებული მოხუცი პოეტი
აკაკი, ახალგაზდები **შანშიაშვილი**, **მაყა-**
შვილი და აგრეთვე მომღერალი არტი-
 სტი **მ. ნანობაშვილი** და სხვებიც. აქაც
 მართალი უნდა ვსთქვა (ნუ იტყვი თუ
 ბიჭი ხარ?!) „კლუბში“ პირველი იყო
 ჩემი შესვლა და ისიც საღაც ზევით ქან-
 დარაზე მიმაღული (რომ გადმოვარდნი-
 ლიყავი ვეღარ მიშველიდა ვერც აკა-
 კის ლექსები და ვერც ნანობაშვილის სიმ-
 ღერა). დიახ ქანდარაზე გახლდით. (აბა
 ზალაში როგორ გამიწყრებოდა ღმერთი,
 გაბრწყინებულათ ჩაცმულ საზოგადოებას-
 თან გამოვჩნდებოდი!?) არ იფიქროთ რე-
 ცენზიას ვსწერდე, (სად რეცენზია და სად
 მე?!) მე მხოლოდ მინდა **ვითომ რეცენ-**
ზია დავჯღაბნო (უკაც. დავწერო.) და
 „ჩემი ვაჟიატლენიეც“ გაუზიარო პატივ-
 ცემულ მკითხველთ. ვიწყებ კიდევაც: კარ-
 გი იყო და კარგადაც მღეროდა ნანო-
 ბაშვილი, უკეთესი იყო აკაკი თავისი ლექ-
 სებით, (აკაკის გამოსვლაზე ისეთი ტაში
 იყო რომ, ყურები ეხლაც მიბჟუსის) არა
 უშავდათრა შანშიაშვილს და მაყაშვილსაც,
 იამთმა ლექსებმაც დიდ-ძალი ტაში
 გამოიწვიეს. (გრიშაშვილი რომ ყოფილი-
 ყო თვისი ბარაშკათი, მაშინ კი არ ვიცი
 რა იქნებოდა!?) არა უშავდა „მუხიკა-
 საც“ აგრეთვე „ზურნასაც“. ეროი სიტ-
 ყვით მეტი რომ არ გავაგრძელოთ ყვე-
 ლაფერი კარგად იყო და კიდევ უკეთესი
 იქნებოდა რომ ახალ მოდის ვიწრო კა-
 ბებს არ შეეშალათ ხელი მაცეკვარ „და-
 მებისთვის“ და „ბარიშნებისთვის“. ისეთი

კოტრილის კორიანტელი დაბადა იმ ვიწ-
 რო გრძელ—კუდიან კაბებმა რომ, სა-
 შინელი ღრამის მნახველი კინალამ გავ-
 ხდით. ძლიერ კარგი იქნება და უკეთე-
 სიც „კლუბში“ მოთამაშე „ღამები“ და
 „ბარიშნები“ ბოიკოტს გამოუცხადებდ-
 ნენ იმ ვიწრო კაბებს, რომელებსიგანაც მო-
 სალოდნელია ხიფათი. (მერმე როგორი!?)

ქუთაისი. 7 თებერვალს შეიკრიბა ხმო-
 სნები ქალაქის თავის და ერთი წევრის
 ასარჩევათ, აგრეთვე სხვა კითხვებიც იყო
 გასარჩევი. სხვა კითხვები ზოგი გაარჩიეს,
 ზოგი კი გადადევს, ქალაქის თავის მაგივ-
 რად კენჭის ყრით აირჩიეს 4000 მან.
 თვითონ ოფიციალურ თავს მაშინ აირ-
 ჩევნენ, როცა ამ 4000 მ. დაამტკიცებს
 გუბერნატორი „**თავის**“ წლიურ ჯამაგირ-
 ად. ასე რომ ქუთაისში ბედნიერ კაცს
 მოესწრობა **თავი**. ამბობენ, საღაც აქვე,
ორთავიანი ბავშვი დაბადებულაო და
 ეს საოცარი ამბავი შეიძლება ქუთათუ-
 რებს სასწაულათ მოავლინა განგებამ, მაგ-
 რამ იმის გაზდამდის, ქუთაისს ან უთა-
 ვობა მოუღებს ბოლოს და ორ-თავიანო-
 ბა. ღმერთო მაღალო, ნუ მოგვიძულებ
 მთლად, თოვლით მაინც ნულარ გვაწუ-
 ხებ, ჩვენ უთაობაც გვეყოფა.



რედაქტორ-გამომცემელი
ნ. ლორთქიფანიძე.

ანა. (ჩუპთა ლეკანს) ხომ გესმის ლევანი. მესმის

იოსები. (დათაკას) მერე რათა? რათ უნდა ვიტანჯებოდე? რათ უნდა დავბადებულყავი მაინც და მაინც მახინჯათ? განა მე არ მქონდა უფლება ლამაზი ვყოფილიყავი? არ მქონდა უფლება ბედნიერი ვყოფილიყავი? საზიზღარებო! რათ არ მომკალით მაშინვე, როცა დავბადე? ოხ! რა ბედნიერება იქნებოდა რომ იმისი ხნის მოვმკვდარიყავი?

ანა. „იმისი ხნის მომკვდარიყავიო“ არა?

ლევანი. დიახ!

ანა. ვიზე ამბობს ნეტავი?

ლევანი. სსს!!!

დათა. განა იმდენათ სუსტი ხარ, რომ არ შეგიძლია ახლა მაინც დამშვიდდე? ეს რახა ჰგავს?

იოსები. (ყურს ან უკდებს) კარგია სიკვდილი უგრძობელი, ანგარიშ მიუტეხელი (დათაკას უკებო ხელში ხელს ჩაჭკაიდას) შენ არ გინახავს იქ ხრამთან?

ანა. არაფერი არ მესმის, ჩურჩულებს.

ლევანი. ავთ თუ გახდა!

იოსები. ირგვლივ სიჩუმე იყო... იქ ქვევით კიდევ სიჩუმე სუფევდა... ბნელოდა... საშინელი უკუნი მეთობდა... (წამოადგება) უცებ დავინახე ისინი—

დათიკო. ვინ ისინი?

იოსები. „განწმენდის სასახლის“ პირველნი მსხვერპლნი. შენ ხომ იცი ის ლეგენდა? ცოლქმარნი, ავადმყოფნი, უკურნებულნი სენით შეპყრობილნი... იმ ხრამში გადავარდენ... დარწმუნდნენ საბრალონი, რომ მორჩენა შეუძლებელი იყო და რადგან ერთმანეთისადმი სიყვარული უზომო იყო, თვისი ნებით, ორავენი... იქ გადავარდნენ თურმე. და აი, როცა მივუახლოვდი ხრამის ნაპირს, დავინახე ისინი... მთხოვდნენ: მალე გადამედგა პირველი ნაბიჯი... უზოთ უფსკრულისანკენ მიჩვენებდნენ... მერე უცებ გაქრა ჩვენება... და სიჩუმე დავინახე!... მახსოვს კარგათ... ვხედავდი სიჩუმეს... უხილავი დავინახე. ერთს წუთს შევშინდი... მე არ მიყვარს სიჩუმე...

სულყოველგან, ყოველთვის ბრძოლა, სიცოცხლე უნდა იყოს... მერე, ^{ნაწმენდის} მენ? (უკებო) სუ! განა შენ კივილის ხმა არ მოგესმა? დაუკვირდი კარგათ! (დათაკო მიუყურებს)

ანა. რას ამბობ? ვერაფერი ვერ გავიგონე!

ლევანი. ვერც მე!

დათიკო. არ მესმის? მგონა შესცდი!

იოსები. მე კი თითქოს მომესმა... ვილაცა მეძახდა... აქ ჩვენს გარდა არავინაა?

დათიკო. არვინ.

იოსები. მე მეგონა იყო... შედეგ, ყურს მივდებ?

დათიკო. მესმის—

იოსები. მერე ავწიე ხელი... აი ასე (ასწავს ხელის ზედას)... ცოტა ხანს შევჩერდი... რატომ, არ ვიცი!... დავაცქერდი ბავშვს—ეძინა... შემდეგ გავშალე ხელი.

დათიკო. (ამუარებს) გაშალე ხელი—

იოსები. დიახ-და გადავადდე—

ანა. ხომ გაიგონე?

ლევანი. კი მაგრამ რაშია საქმე ვერ მივმხვდარვარ.

იოსები. მხოლოდ ერთხელ... მხოლოდ ერთხელ გაისმა კივილი...

დათიკო. მეც გავიგონე!

იოსები. შენც? მეორე ხომ არ ყოფილა?

დათიკო. არა.

იოსები. მერე კი სიჩუმე ჩამოვარდა... მაგრამ შენ როგორ გგონია? ჩემი ასული კივილით უმადურობას გამოხატავდა?

ანა. ასულიო?

ლევანი. დიახ.

ანა. ეს რას ნიშნავს?

იოსები. (განსაკმანს) არა! ეგ კივილი არ იყო ტანჯვისაგან, ტკივილისაგან გამოწვეული... არა... ჩემმა ასულმა მადლობა მითხრა, რომ დავიხსენი საშინელი მომავლისაგან... მაშინ ჩემი თავი დათიკო გმირათ ვიგრძენი, რაინდათ მომეჩვენა... მე დიდებული საქმე ჩავიდინე არა?

დათიკო. დიახ, დიდებული საქმე!...

ანა. „დიდებული საქმე ჩავიდინეო“, „ასული“, „მადლობა“ „კვილი“. რას ნიშნავს ყველაფერი ეს?

იოსები. (დათაკის) ყური დამიგდე, საოცარ რამეს ვიამბობ: თურმე როდესაც, „განწმენდის სასახლის“ პირველი გზირნი დაიხოცნენ, ლევანდა ვადმოგვცემს, რომ ამტყდარა საშინელი ქეჩა ქუჩილი... ერთი უზარმაზარი ტალღა გრივალისაგან მოტაცებული, დასტაკებია იმ სახლს, რომელშიც „ისინა“ ცხოვრობდენ და ნანგრევებათ გადაქცეულა... აი სწორეთ იქ იყო თურმე მათი სახლი, სადაც ახლა ნანგრევებია ზღვის პირათ, წყაროს მარცხნივ... შემდეგ კი ყველაფერი დაწყნარებულია: მზემ, თურმე, ღრუბლებიდან გამოანათა, ყველაფერს მიესალმა, ყველას გადაეხვია... მხოლოდ ხრამი დარჩა ისევ ისე ბნელია, შავი, ჩუმი.. და საბრალო მსხვერპლთ თავისი კალთა გადააფარა. ასეთი იყო თურმე მაშინ ბუნება... ახლაც თითქმის ისეთივე სურათი იყო, მხოლოდ მკირეოდენი განსხვავებით... შევხედე მზეს და მსოფლიოს მანათობელი სიხარულით ხტოდა ცაზე: დაჰქროლა ქარმა და ვაშა შემომძახა... ხეებმა ჩურჩული შეჰქნეს და ჩემი ქება იმღერეს... ფოთლები აშრიალდენ და საოცარი ამბავი ერთმანეთს გადასცეს... მაშინ მე მეგონა, ახლად დავიბადე მეთქი და მეხისებური ხმით (ხმა მადლა) დავიძახე: „პირველი ნაბიჯი გადაიღდა მეთქი“.

ანა. ლევან, ნუ თუ რამე საშინელება ჩაიღინა?

ლევანი. მუც ასე ვფიქრობ.

იოსები. მაშინ შენც მომისწარი... მე მიწოდდა კიდევ დიდ ხანს ვყოფილიყავ ისევ ისე, ამაყად მდგარი, როგორც შენ მნახე მაგრამ... ძალამ მიმტყუნა... მე ხომ მაშინ ლამაზი შესახედავი ვიყავი? ყველა ვინც ახალ რამეს შერბა, ვინც ახალ საქმეს, ახალ მცნებას ამხელს, დიადია, მშვენიერია... მაგრამ... მაგრამ... უცებ გამახსენდა წერილი და ხელსახოცი.

ანა. (შეშინებული) წერილი და ხელსახოცი?

ლევანი. (შეშინებული) დიახ. ასე სთქვა.

ანა. მაშ ყველაფერი გაუგებარეა? **ლევანი.** ხომ უნდა გაეგო როდისმე?

ანა. სად ნახა შენი წერილი და ხელსახოცი? (უგეჰ) მართლა, შენი ნაჩუქარი ხელსახოცი, სუფრაზედ დამრჩა ჩემს ოთახში.

იოსები. მაშინ მე ისევ მახინჯი გავხდი... ანამ მილალატა... ეს უკანასკნელი იმედიც არ გამიმართლდა...

დათაკო. კმარა იოსებ! შენ არა ხარ პირველი და არც უკანასკნელი.. სხვა საქმეცა გაქვს. სჯობს იმაზე იფიქრო.

იოსები. მე მინდა უკანასკნელი ვიყო... გესმის შენ? მე მინდა უკანასკნელი ვიყო.. ჩემი ასული მოვკალი— აქ პირველი ვარ... უშიშრათ გამოვსთქვი ჩემი ახრი, რასაც ვფიქრობდი, რაც მწამდა აშკარა გავხადე— აქაც პირველი ვარ; ცოლმა მილალატა, აქ მინდა უკანასკნელი ვიყო. მარტო შენ მამართლებ ჯერჯერობით, მაგრამ შენც რომ არ მამართლებდე, მე მაინც თამამად იმასვე გავიმეორებდი... სიმართლე ჩემთვის, ჩემშივე არსებობს, ჩემშივე დაიბადა: სინილისმა დიდი ხანია გამამართლა... ჩემი საქმე შევასრულე ისე, როგორც მიწოდდა და ამის საბუთი იქ, უფსკრულშია. (ხელს გააშუქრს სრამისაკენ)

ანა. (შეწუხებული) აღსრულდა... საბრალო ბავშვი... მაბატე შეილო, რომ თითქმის გულგრილათ შევხვდი შენს სიკვდილს, მაგრამ როგორც, შენ, ისე არც მე ვარ დამნაშავე! (აეკვანს) ლევან! წავიდეთ აქედან!

ლევანი. მოითმინე კიდევ ცოტა... მგონია მიდიან.

იოსები. (ადგება) მაგრამ შენ მართალი მართალი სთქვი! მე კიდევ მაქვს ერთი საქმე: ანა და ლევანი უნდა ვნახო უკანასკნელათ. წავიდეთ იქ... ახლა სრულიად დამშვიდებული ვარ და შემიძლია თამამათ შეუდგე გზას. წავიდეთ!

დათა. წავიდეთ! (მადანს ხელის ნაბიჯით)

ლევანი. აბა ახლა დროა, ანა! წავიდეთ!

ანა. ახლა საჭიროა ჩვენც, იოსები ვნახოთ!

ლევანი. რას ამბობ ანა?

ანა. მე არ მინდა ვისიმეს თვალში მატყუარათ დავრჩე (ახსნ უნდა წინ გამოსვლას და ლევანი არ უშეგებს).

ლევანი. ასე უცებ როგორ შესცვალე აზრი? აკი წასვლა გინდოდა?

ანა. ახლა შეუძლებელია ასე წასვლა. გამიშვი თუ გიყვარვარ. (ლევანი ხელს გაუშეგებს და ახს გამოვა სიფარდახს) ბატონო იოსებ! ჩვენ აქა ვართ! (იოსები და დათიკო მოტრიალდებიან. ახს და იოსები ერთმანეთს არ აცილებენ თვალს. ლევანი განზე გაშვანა გულ — ხელ დაკრეფილი. დათიკო კი რჩება იმ ადგილას სიფარდახს)

